საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW TECHNICAL AND CONSTRUCTION SUPERVISION AGENCY

0186, თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N8 ტელ: (+995 32) 293-27-32 WEB: www.TACSA.gov.ge
8 A. Politkovskaia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 293-27-32

KA020155389318022

№ **03/225** **04 / მარტი / 2022 წ.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია "ერთიანი
ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარეს,
ბატონ ელგუჯა ბაგრატიონს

ასლი: საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების
მინისტრის მოადგილეს,
ქალბატონ ნინო ენუქიძეს

ბატონო ელგუჯა,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2022 წლის 18 თებერვლის N256 (2022 წლის 18 თებერვლის N04/891) წერილით გადმოგზავნილი თქვენი 2022 წლის 11 თებერვლის N09-02-16/60 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, გოგოლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ N05.29.17.054 და ს/კ N05.29.17.075) განთავსებულ ობიექტებზე, კომპანიების მიერ საქმიანობის კანონიერებას, გაცნობებთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, საქართველოს კანონის - „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით“ და „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N257 დადგენილებით გათვალისწინებული წესით, ახორციელებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (მათ შორის, რადიაციული და ბირთვული ობიექტების) მშენებლობის ნებართვის გაცემას, მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობას და მშენებლობადასრულებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებას, ხოლო განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების განმსაზღვრელი მახასიათებლები მოცემულია ამავე დადგენილების 50-ე მუხლში.

თქვენს განცხადებაში აღნიშნული ობიექტები არ განეკუთვნება განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებს და ამასთან, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N05.29.17.054 და ს/კ N05.29.17.075) სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის ნებართვა არ გაცემულა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, განიხილოს თქვენს განცხადებაში დასმული საკითხი.

პატივისცემით,

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი გეჯაძე